№ 10. 12 (24) მარტი. 1870 22 (24) მარტი. № 10.


**გაზეთის ფასი**

| თბილისში და გარეშე ადგილებში: | გაგზავნით | გაუგზავნელად: |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ნახევარის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 |
| ერთის თვისა | — 1 — | — — — „ — 75 კ. |
| ცალკე ერთის ნომრისა | | — — — „ — 15 კ. |

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** ქართულს და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით ასოზე ½ კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.


# დროება


**ხელის-მოწერა მიიღება:**

**თფილისში** — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.
თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
**ქუთაისში** — ლ. ღოღუასთან — პოლიციის ქუჩაზე, მელქონ პალიევის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.
თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—


## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეხუთე.

### შინაარსი:


შინაგანი ცნობები. შენიშვნა შესახებ „ქაცია, ადამიანის“ გამოცემისა. რუსეთის ამბები. პოლიტიკა: ანგლია,—იტალია, შვეიცარია,—ისპანია,—ავსტრია და ოსმალეთი.—გოლას მანნი.—სხვა და სხვა ამბები. ლექსი: „ფაცხა“.—კერძოობითი განცხადებანი.—ფელეტონი.


## შინაგანი ცნობები.

მისი იმპერატორებითის უმაღლესობა, დიდი მთავარი კავკასიის ნამესტნიკი ამ თვის 7-ს დაბრუნებულა კარლსრუედან და 10-ს პეტერბურღში მიბძანდებაო.

*

— პეტერბურღის და შუაგული რუსეთის პოშტები ძალიან იგვიანებენ: ხანდისხან ხუთი, ექვსი ფოშტა ერთად მოდის ხოლმე. 7 მარტს მოვიდა აქ ბუდაურიდან დეპეშა, რომ კავკასიის მთებიდან კობის სტანციის სიახლოვეს თოვლი ჩამოცვენილა და ამის გამო ჯერ ჯერობით გზაზე მისვლა-მოსვლა აღარ შეიძლებაო.

*

მარტის 10-ს მიღებული ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ რუსეთის გზა ბუდაურიდგან კობამდინ გახსნილია.

*

— თბილისში გაზაფხული წვიმებით დაიწყო: ჰაერი ისე კი გათბა, რომ ზოგიერთ ხეხილებმა უყვავილეს: მაგ. ტყემალმა, ალუჩამ, გარგარმა, და მალე ყველამ აყვავდება, თუ სიცივეები არ დადგა. რასაკვირველია, ჩვენი მარტი საიმედო და დამდგარი ხასიათის თვე ვერ გახლავს და ამიტომ, ვინ იცის ჯერ კიდევ, როგორ შეიცვლება ტაროსი.

*

ყველაფერში ეტყობა, რომ ჩვენი თბილისი განათლების გზას დაადგა; ყოველი მხრით სჩანს წარმატება: ქალაქის ახალი თავი, როგორც ისმის, სცდილობს გაასუფთაოს ქალაქი და, რამდენათაც შესაძლებელია, ტაქსით დადებით, გააიეფოს ხორაგი. (მაგრამ პური აქ ამ ჟამად მაინც ძალიან ძვირობს. ამბობენ, კახელებსაც შემოკლებიათ პური და ამიტომ ძალიან ძვირათ ისყიდებაო: კოდი პური, როგორც გვწერენ, ამჟამად ორ მანეთად გადის.)

არც განათლების მხრით ჩამოუდგება ჩვენი ქალაქი უკან სხვა ქალაქებსა (რასაკვირველია, სატახტო და უნივერსიტეტის ქალაქებს გარდა): არა მგონია, რომ ბევრ პროვინციის ქალაქებში მოიძებნებოდეს იმდონი კერძო და სახელმწიფო სასწავლებლები და პანსიონები, რამდენიც თბილისში მოინახება. შესანიშნავია, რომ ამდენი სასწავლებლები კიდევ ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებლების მოთხოვნილებას, ისე ბევრი არიან სწავლის მოწადინენი.

*

ამ ჟამად აქ გიმნაზიის მასწავლებელი უფ. ზულაკი ჰკითხულობს კლასიკურ გიმნაზიის ზალაში პუბლიკურ ლექციებს ზოგიერთს ბუნების მოვლინებაებზე; სხვათა შორის, მეორე და მესამე ლექციაზე მოილაპარაკებს—სპექტრალურ ანალიზზე და მცვინავ ვარსკვლავებზე (აეროლიტებზე).

*

გაზეთს „Кавказъ“-ში სწერენ: „ისმის, რომ ერთს ფრანცუზულს კამპანიას ჰსურსო იკისროს რკინის გზის მოთავება ფოთიდამ თბილისამდი. ამბობენ, რომ ამ კამპანიას დიდი შეძლება აქვს—

*

ორი კვირის წინეთ ქ. სტავროპოლში მოხდა შესანიშნავი ავაზაკობა: ვიღამაც გასტეხა ღამე ხაზინა და თექვსმეტი ათასი თუმანი (160-ათ.) მოიპარა. მეორე დღეს, რომ მოვიდნენ, ნახეს ძირს დაგდებული მხოლოთ ყარაულის რაღაც იარაღი, თვითონ ყარაული კი არსად არა ჩნდა. „კავკასში“ სწერენ ახლა, რომ ფულის ზანდუკი უნახავთ სტავროპოლს გარეთ, ტყეში. ამ საქმეზე, რასაკვირველია, ფიცხელი გამოძიება არის დანიშნული; ეჭვი კი ჯერ არავიზე არა აქვთ.—

ამ შენიშვნის დაბეჭდვის შემდეგ მოვიდა სტავროპოლიდან ცნობა, რომ მარტის 9-ს ერთი დამნაშავის სახლში მიწაში დაფლული იპოვნეს ცამეტი ათასი თუმანიო.

*

მომავალ აპრილის 19-ში თბილისში იქნება დოლი.

*

თბილისის კლასსიკური გიმნაზიის დირექცია აცხადებს, რომ გიმნაზიის შენობის გადაკეთებისაგამო სწავლა გათავდება პირველ აპრილსა. მეკვენისთვის პირველიდგან დაიწყობა ეგზამენები გადასასვლელი და მისაღები, ლვინობისთვის პირველიდგან დაიწყობა სწავლა კლასებში. აპრილის პირველიდგან ენკენისთვის პირველამდის გიმნაზიის პენსიონი დაიკეტება და ამისათვის მოსწავლეების მშობელთა შეუძლიათ თავისი შვილები წაიყვანონ ბზობის კვირის უკანასკნელ დღეებში.

*

„პეტერბურღის უწყებაებში„ დაბეჭდილია: ჩვენ გავიგონეთ, რომ სდგება საზოგადოება, რომლის მიზანი და მეცადინეობა იქნება—გაავრცელოს ბამბის მოყვანა აზიის სამფლობელოებში (კავკასიაში და ტურქისტანში) და თვითონ ბამბაც გააუმჯობესოს. ამ საზოგადოების პროგრამა შემდეგია: 1) გამოიწერს სამზღვარს გარეთიდან საუკეთესო ბამბის თესლს და სხვა და სხვა მაშინებს. 2) დაბეჭდს (აზიულ ენებზე) წიგნებს ბამბის მოყვანის და მოვლის თაობაზე და გაავრცელებს იმათ ხალხში. 3) გაგზავნის სამზღვარს გარეთ თავის ხარჯით ახალგაზდა ყმაწვილ კაცებს, რომელნიც ისწავლიან რიგიანათ ბამბის მოვლის რიგს. 5) დააწესებენ ბამბის გამოფენებს და ჯილდოებს, რომელიც მიეცემა რუსეთში საუკეთესო ბამბის მომყვანს.—

---

ჩვენ მივიღეთ უფ. ბეთანიშვილისაგან შენიშვნა შესახებ „ქაცია, ადამიანის„ გამოცემისა და განცხადება, რომელნიც აქვე მოგვყავს. რედ.

შარშანდელ „მნათობის“ სეკტემბრის წიგნში უფ. თორელი თავის „მიმოხილვაში“ ამბობს სხვათა შორის „ქაცია, ადამიანის“ გამოცემაზედ: „ასრე გამოცემული „ქაცია, ადამიანი“ ძალიან იაფია, ასე რომ ღირსია უფ. მ. ბეთანიშვილი (ამ წიგნის გამომცემი) მადლობისა.“

აგრეთვე 1870 წ. „დროების“ მეორე №-ში ავტორი კრიტიკულ სტატიისა: „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, მიძღვნის მე მადლობას, როგორც „ქაცია, ადამიანის“ გამომცემს, ამ სიტყვებით: „ჭეშმარი-

## ფელეტონი.

დიდი მარხვა და იმის გავლენა კაცის ჭკუის მიმართულობაზე. ნემცების და ანგლიელების ხასიათი. დიდი მარხვის დროს გატარება. ზულაკის ლექციები. სალიტერატურო სალამო და არტისტიკული კლუბი. იანვრის და ფებერვლის წიგნები „ცისკრისა.„

მართალი მოგახსენოთ, დიდმარხვაში ფელეტონის წერა ძალიან ძნელი საქმე ყოფილა: მიდებ-მოდებითი ლაპარაკისა და სხარტი სიტყვის ნიჭი, გამოგიტყდებით, არც სხნილა მიქვს მაგდენი, მაგრამ ამ მარხვაში კი ღმერთმა შემინახოს. კირკაჟს, კარტოფილის კოტლეტებს და სტაცურის წვენს სწორეთ დიდი გავლენა ჰქონიათ ადამიანის ხასიათზე და იმის ჭკუის მიმართულებაზე. ამ ჟამად რაღაც სურვილი მომივიდა, რომ მაღალს, ფილოსოფიურს საგნებზე ვილაპარაკო. ახლა კი ისმის—რატომ არიან ნემცები ისე გამოჩენილნი ფილოსოფოზნი და რატომ აკლიათ ანგლიელებს ფილოსოფიური მიმართულება გონებისა? ამიტომ რომ პირველი ამ ხალხთაგანი უფრო ეტანება სამარხო საჭმელებს (კარტოფილს) და უმანკო სასმელებს (პივოს) და მეორეს კი (ანგლიელებს) უფრო უყვარს სისხლიანი (ბიფშტექსი) და სისხლის ამღელვებელი სასმელები (პორტერი).

ჩვენი ე. ი. თბილისის ცხოვრება ამ დიდ მარხვაში ისე მშვიდობიანათ და წყნარათ მიდის, რომ არც აძლევს ფელეტონისტს სალაპარაკო საგანსა: ჩვენი წვრილი ვაჭრები და მუშა-ხალხი რაღაც დაღონებულათ და ფერმიხდილათ იყურება; (ეს კირკაჟის გავლენა გახლავთ!) ისინი ძველებურათ სხედან თავიანთ დუქნების წინ და სხვა და სხვა სულისსაცხონებელ საგნებზე ლაპარაკობენ. გასაკვირველია, რომ არც ქუჩის ბიჭები ჩანან რაღაც; უკაცრავათ, გამოჩენით—როგორ არ ჩანან, მაგრამ იმათი უდარდელი მოძახილი, იმათი „ოხ, თვალებო, თვალებო!„ თითქმის სულ აღარ ისმის. კირკაჟის გარდა ამაში, ვგონებ, ეს მოღუშული, წვიმიანი ტაროსებიც არის დამნაშავე. ღვთის მადლით, გაზაფხული დაიწყო, მარხვაც მალე გათავდება და ჩვენი ქუჩის ბიჭებიც მალე გაიღვიძებენ და ღარიბ ხალხსაც ფერი მიეცემა, თუ ხორცი და პური იშოვნეს საგემებლათ.....

ამ დიდ მარხვაში აქ, რასაკვირველია, თეატრები აღარ არის. მის ნაცვლად გახშირდა კონცერტები; ერთი სალიტერატურო სალამოც იყო; ამას გარდა უფ. ზულაკი ჰკითხულობს პუბლიკურ ლექციებს, ზოგიერთს ბუნების მოვლინებაებზე აქაურს კლასსიკური გიმნაზიის ზალაში.

ყველა ამაებით სარგებლობს, უეჭველია, უფრო შეძლებული და განათლებული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა.

ბუნების მოვლინებაების გაცნობა, რასაკვირველია, ყოველთვის და ყველასთვის სარგებლოა, მაგრამ ეს გაცნობა, ჩვენი აზრით, იმისთანა ძნელად გასაგები საგნიდან არ უნდა დაიწყოს კაცმა როგორც „სპექტრალური ანალიზი„ და სხვა, რომელსაც, ვგონებ, ჩვენი „განათლებული„ საზოგადოება ძნელათ გაიგებს. საუბედუროთ, ჩვენ არ ვყოფილვართ უფ. ზულაკის ლექციებზე და ამიტომ ვერ ვიტყვით—გასაგებათ ჰკითხულობს ის, თუ არა.

ლიტერატურული სალამო იყო ორშაბათს არტისტიკულ კლუბში. როგორც ამბობენ, (ჩვენ არ გხლებივართ), პუბლიკა აღტაცებაში მოიყვანაო ერთმა ლექსმა ოპერიდან „ორფეი ჯოჯოხეთში“, რომელიც რუსულათ ასე იწყება:

> **Когда я былъ Аркадскимъ принцемъ,**
> **Любилъ я очень лошадей.**

ამ სალამოსთვის ეს ლექსი ისე გადაეკეთებინათ, რომ ვითომც ბევრმა არკადიის პრინცში თავისი თავი დაინახაო. ასე რომ პუბლიკამ, როგორც ამბობენ, რამდონიმეჯერ გაამეორებინა მომღერალს თავიდან ბოლომდინა ეს სიმღერა.

საზოგადოთ არტისტიკულ კლუბში ისე ატარებენ დროს, როგორც კეთილშობილთ და შეძლებულთ ეკადრებათ: თავის რიგზე ტანცაობენ, თავის რიგზე წარმოდგენებს მართავენ და თავის დროზე სიმღერასა და კონცერტებს; ხანდისხან ლიტერატურული სალამოებიც თუ გამოურიეს, მაშინ ხო რაღა! ყველაფრით სრული იქნება ეს ჩვენი ნორჩი კლუბი. მხოლოთ ერთი პატარა ნაკლულევანება აქვსო, ბოროტი ენები ამბობენ; ეს ნაკლულევანება მდგომარეობს, ამ ენების სიტყვით, იმაში, რომ ვითომც კაცი მოუწყენელათ ყოველთვის ვერ გაატარებს იქ დროსაო. მაგრამ ერთი ნაკლულევანება ხომ რას და ვის არა აქვს!....

არტისტიკულის კრუჟოკიდგან გადავდგათ ნაბიჯი ქერესელიძის „ცისკრისკენა.“ იანვრის და ფებერვლის ნომრები ჩვენი ძველი, მამაპაპური ჟურნალისა გამოვიდნენ. უკანასკნელი ნომერი „ცისკრისა“ სწორეთ მაკვირვებს; ყველაფერი თვისება ძველი, პატივსაცემი ჟურნალისა აქვს: სტატიები, რომელთაც ძალუძსთ ტკბილათ დაძინება და დასვენება მოხუცებულის დაღალული ტვინისა,—მიმტვრეული და გალესილი ასოები, რომელნიც დიდი ხანია თხოულობენ, რომ გადაგვადნეთ და ქვაბისთვის ძალიან გამოსადეგნი ვიქნებითო,—გძელი, კოჭებამდინ კაბა და სხვ.; ყველა ეს თვისებაები, ვამბობ, ამტკიცებენ, რომ ჩვენი „ცისკარი“ მოხუცებულებას მიახლოვებულა. მაგრამ ეს ყვითლის ფერი კაბა ძალიან მაკვირვებს. ვინ „ცისკარი“ და ვინ ყვითელი კაბა! ჩემი აზრით, ამას უფრო შეშვენის ახლა მუქი და არა ყვითელი—საყმაწვილო ფერი.....

სოლოლაკელი.

ტად დიდი მადლობის ღირსია.... აგრეთვე უფ. მიხეილ ბეთანიშვილი, რომელმაც თავს იდვა ამის (ქაც., ადამ.) გამოცემა."

მადლობელი ვარ და სამართალიც მოითხოვს განუცხადო „დროების" მკითხველებს, რომ ზემოთ მოხსენებული ავტორებისაგან მადლობა ს ა კ უ თ რ ი ვ მე არ მეკუთვნის, ამიტომ რომ ს ა კ უ თ რ ი ვ მარტო მე არ მეკუთვნის „ქაცია, ადამიანის" გამოცემა. ავხსნი ამ სიტყვებსა:

1868 წ. ოკტომბერში, რამოდენიმე აქ მცხოვრებ ქართველებმა შევადგინეთ პატარა ამხანაგობა, რომლის მიზანი იყო გამოცემა ქართული წიგნებისა, როგორც ორიგინალური, აგრეთვე ნათარგმნებისაც. რადგან ჩვენს ამხანაგობას არ ქონდა იმდონი თანხა (ფონდი), რომ დაუყოვნებლივ გამოეცა წიგნები, ამისათვის ამხანაგობა მიიღებდა ფულით შემწეობას სხვა პირებისგანაც, ვინც ისურვებდა ამ საქმისათვის ხელის გამართვას. მიხეილ ზურაბის ძე ჭავჭავაძემ შემოჰსწირა ჩვენს ამხანაგობას 240 მან. წიგნების გამოსაცემად. ამ ფულებით ამხანაგობამ არჩია „ქაცია, ადამიანის" გამოცემა და მომანდო მე ამ საქმის სისრულეში მოყვანა. ამხანაგობის მინდობილობით, მე გამოვეცი „ქაცია, ადამიანი„ ანუ, უკეთ ვჰსთქვათ, „ქაცია„ ადამიანი" გამოსცა ამხანაგობამ და არა საკუთრივ მე.

რაც შეეხება იმას, რომ წიგნზედ გამოცხადებულია ჩემი გვარი, როგორც კერძო გამომცემელისა, და არა ამხანაგობის ფირმა, ამაზედ უნდა მოვახსენოთ მკითხველებს, რომ ჩვენ გვაქვს პატივსადები მიზეზები და საბუთები, რომლის გამო ჩვენ შ ე ს ა ძ ლ ო დ არ ვხდით ბეჭდვით გამოვაცხადოთ ეს მიზეზები. შარშან იენისში, როდესაც „ქაც., ადამ." ეგზემპლიარები გამოვაგზავნე საქართველოში გასასყიდათ, მე მივსწერე ყოველ ჩვენს აგენტს დაწვრილებით ეს მიზეზები და ვფიქრობ, რომ სხვებიც შეიტყობდნენ იმათგან ამ მიზეზებსა; და, თუ ახლაც ჰსურს ვისმეს შეიტყოს, ვჰსთხოვ ტფილისში მყოფთ მიმართონ ამაების ასახსნელად „დროების" რედაქტორს და სხვა ქალაქებში კი იმ პირებს, რომლებთანაც ისყიდება „ქაცია, ადამიანი" *).

მაშასადამე, მკითხველი ნათლად ხედავს, რომ ზემოხსენებული მადლობა საკუთრივ მე არ მეკუთვნის.

მ. ბეთანიშვილი.

19 თებერვალს, 1870 წ.

პეტერბურღი.

P. S. უმორჩილესად ვჰსთხოვ „სასოფლო გაზეთის" და „მნათობის" რედაქციებს გადაბეჭდონ თავიანთ ჟურნალებში ეს ჩემი შენიშვნა.

---

გასულის წლის „დ რ ო ე ბ ი ს" №№-ში გამოცხადებული იყო, რომ პეტერბურგში იბეჭდება და გამოვა „სურამის ციხე" დ. ჭონქაძისა და რუსთველის სურათი. ვალად ვრაცხ განუცხადო „დ რ ო ე ბ ი ს" მკითხველებს, რომ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, დაპირებული სურათი და წიგნი ჯ ე რ - ჯ ე რ ო ბ ი თ არ გამოვა.

მ. ბეთანიშვილი.

1870 წ. 19 თებერვალს.

პეტერბურღი.

P. S. უმორჩილესად ვჰსთხოვ „სასოფ. გაზ." და „მნათობის" რედაქციებს გადაბეჭდონ თავიანთ ჟურნალებში ეს განცხადება.

---

## რ უ ს ე თ ი ს ა მ ბ ვ ე ბ ი.

— ხო მოგეხსენება, მკითხველო, რამ სიშორეს არის ერთმანერთზედ ფინლანდიისა და ისპანიის ქვეყანა. ამ უკანასკნელ ხანებში ი ს პ ა ნ ი ა ში მომკვდარა ერთი ფინლანდიელი კაცი, სახელად ლინდეკვისტი. რუსულ გაზეთებში იწერებიან, რომ თავის სამშობლოს დიდიხნის მოშორებულმა მაინცა და მაინც მოიხსენა სიკვდილის ჟამსა თავისი ქვეყნის ვითარება და საჭიროება და ანდერძით თორმეტი ათასი მანათი დასტოვა თავისი ქვეყნის სოფლებში შკოლების გასაწყობათ და გასავრცელებლათა.

*

— ო დ ე ს ს ა ში აგერ ერთი წელიწადია თურმე, რაც იქაურს მმართველს (გრადონაჩალნიკს) მოუწადინებია ერთი მეტათ სასარგებლო საქმე, მაგრამ აქამდისინ ვერ შეუსრულებია თავისი განზრახვა. ოდესსის მმართველი აპირობს თავის-შესაფარის გამართვას პატარა უპატრონო და ობოლი ბიჭებისათვის, რომელნიც ახლა ქუჩებში უპატრონოთ, მშიერ-მწყურვალები დაეთრევიან და ქურდობისა და ავაზაკობის მეტს სხვას ვერას ისწავლიან. ამ სამოწყალო სახლში კი ისწავლიან ბიჭები წერა-კითხვასა, ხელობას რასმე, შეითვისებენ რიგიან ყოფაქცევასა და სიტყვა-პასუხსა. რა არის იმის მიზეზი, რომ ოდესსის მმართველობასაც გაუჭირდა ამ კეთილი საქმის ასრულებაში მოყვანა — გაზეთები არას იწერებიან.

*

პენზის გუბერნიაში საშინელი შ ი მ შ ი ლ ი ა ნ ო ბ ა ა წელსა, რათგანაც შარშან პური ძალიან ნაკლებათ მოვიდა. უველაზედ უფრო შეძლებულ სოფლებშიაც გლეხები რაღაცა დამპალსა, გაყვითლებულ პურსა სჭამენ საძაგელსა, მყრალს და მეტათ მავნებელსა. ხალხი ასეთ გაჭირებაშიაო, იწერებიან ერთს რუსულ გაზეთში, და თავად-აზნაურობა კი ამ დროს გაცხარებით ფულებს ერთმანერთში აგროვებდა იმისათვის, რომ თავის მარშლისათვის სადილი გაემართა; მოვაჭრე ხალხიც ერთ ამბავში და ერთ ყოფაში იყო ამ დროსა, რათგანაც გუბერნიის გამგებელისათვის წვეულებას ამზადებდა. ვაჭრებმა გაუმართეს კიდეცა გუბერნატორს კარგი სადილი, — მაგრამ მარშალმა კი ურჩია თავად-აზნაურობას, რომ ქეიფის გასატარებლათ მოგროვებული შეეწირათ დამშეული ხალხისათვის.

ამათ მიხედვით ვაჭრებშიაც გამოჩნდნენ ზოგიერთნი, რომელთაც მოაგროვეს, როგორც იყო, ასიოდ თუმნამდინა. მაგრამ, ეს ასიოდე თუმანი აბა რას უზამს მთელი გუბერნიის მცხოვრებლებსაო, იწერებიან რუსულ გაზეთებში.

*

— სიმბირსკის ზ ე მ ს ტ ვ ო ს კრებაში მომხდარა სწორეთ შესანიშნავი ამბავი. ამ ზემსტვოს სხვა და სხვა სახალხო საჭიროების ასასრულებლათ ჰქონდა ხელში სამი ათას რვაას თუმნამდინ; ამ სამი ათას რვა ასი თუმნიდამ სახალხო შკოლების გასამართავათ მხოლოთ ათი თუმანი გამოიმეტა, და როცა ერთმა იმ კრებაში მყოფმა თქვა, რომ მეტი უნდა დაგენიშნათ ხალხის განათლებისათვისაო, კრებამ ყურიც არ ათხოვა.

*

— წარსულს თვეში მოსკოვში მაღალ წოდების საზოგადოებას გაემართა, როგორც იწერებიან, ს ა ტ ა ნ ც ა ო ბ ა ლ ი. ქალებსა სუყველას, რასაკვირველია, ძალიან მდიდრულათ ეცვათ თურმე ტანთა. ტანცაობდნენ და შეექცეოდნენ გათენების სამ საათამდინა. მეოთხე საათზედ დალალულები ვახშმათ დასხდნენ, მადიანათ შეექცნენ და ვახშამს უკან ისევ ტანცაობას მიჰყვეს ხელი. სახლები მდიდრულათ იყო გამართული და უხვათ გაჩაღებული. ქალებსაც უფრო მდიდრულათ ეცვათ ტანთა და ეხურათ თავსა. ერთს იმათგანს კაბა მარგალიტებით ჰქონდა შემკობილი, მეორეს რაღაცა ძვირფასი ეხურა თავსა გვირგვინსავითა, რომელსაც ათი ათას თუმნათ აფასებდნენ. ერთი კაბა, ერთათ ერთი, უარაფროთ, ღირდა თურმე ას თუმნათ და იმ დღის თვის ყოფილიყო დაბარებული პარიჟიდამა. — მოდი, მკითხველო, და დაიჯერე, რომ ფული ნაკლებათ არისო. მარგალიტებით კაბების შესამკობლათ ფული თავის დღეში არ დააკლდებათ დიდი კაცის კნეინებსა.

*

— პეტერბურღში ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ გაქანებული დროჟკა დაეტაკება ქუჩაში გამვლელსა; და რასაკვირველია ჯან მრთელს არ დასტოვებს, ვიზედაც გადაივლის. სამართალი ჯარიმას გადაახდევინებს ხოლმე დროჟკის გაუფრთხილებელ პატრონებსა. ერთ რუსულ გაზეთში იწერებიან ამაზედ, რომ მეტის მეტათაც რომ უნდა სდევნიდეს სამართალი ხალხის გამჭყლეველებს, თორემ ამ უკანასკნელ ხანებში ბევრი გამოჩნდა იმისთანა სალახანა, რომ დიდის სიამოვნებით ცდილობენ დროჟკას ქვეშ მოექცნენო, ოღონდ თითო ოროლა გროში გადაახდევინონ დროჟკის პატრონსაო. — ვაი ამ სალახანების ბრალიო, ამბობს მეორე გაზეთი, რომ თითო ოროლა გროშის საშოვნელათ სხვა საშუალი არა აქვთო. ოღონდაც, რომ ვაი და ვაგლახი უნდა იყოს იმათი ცხოვრება. —

*

— ქიევის გაზეთში — „Кіевлянинъ" სწერენ: ჩვენ გავიგონეთ, რომ აქაური მთავრობა აპირებს გლეხკაცებისთვის სასოფლო ბანკების გამართვას. ამ ნაირი აზრის სისრულეში მოყვანა, უეჭველია, დაუფასებელ სარგებლობას მოუტანს ჩვენი სოფლის ხალხს, რომელიც ძალიან შევიწროებულია ურიების სესხისაგან." —

*

შარშან შეუკრებიათ ცნობები ჩერნიგოვის გუბერნიის სასოფლო შკოლებზე და აღმოჩენილა, რომ ხალხის განათლება ამ გუბერნიაში ხეირიანათ ვერ მიდის. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ შკოლების საქმე მიდის ცუდათ იმიტომ, რომ მასწავლებლები არ არის. ამის გამო იქაურმა ზემსტვოს კრებამ გადასწყვიტა, რომ ჩერნიგოვში უნდა გაიმართოს სამასწავლებლო სემინარია, რომლისთვისაც დანიშნა თავის შემოსავლიდგან — 6,070 მან. ამ სემინარიის პროექტის უსტავი ეხლა დამტკიცებულია სახალხო მინისტრისაგან. ჩერნიგოვის სამასწავლებლო სემინარია იმ რიგათ იქნება გამართული, როგორც რიაზანისა და ნოვგოროდისაა; განსხვავება ის იქნება მხოლოთ, რომ ჩერნიგოვის სემინარია დახურული სასწავლებელი არ იქნება: ყოველ შაგირდს მიეცემა წელიწადში უეზდის საზოგადოების ფულებიდან 80 მან. და, საცა უნდა, იქ იცხოვრებს. —

---

# პ ო ლ ი ტ ი კ ა.

## ანგლია.

ლ ო ნ დ ო ნ ი, 19 ფ ე ბ ე რ ვ ა ლ ს. მმართებლობის წევრმა — ფორსტერმა წარუდგინა გუშინ ქვემო პალატას დასამტკიცებელათ ახალი კანონის პროექტი ხალხის განათლების შესახებ. ეს პროექტი დამყარებულია სამს უმთავრესს საფუძველზედ: 1) ხალხის განათლებას დღეის შემდეგ თვითონ სახელმწიფომ უნდა ადევნოს თვალ-ყური; აქამდი კი ხალხის განათლების მიმართულება დამოკიდებული იყო კერძო პირებზე და კორპორაციებზე, რომელნიც მმართებლობის უზედამხედველოთ და შეუწევნელად ასწავლიდნენ თავიანთი საშვალობით გახსნილ შკოლებში. 2) სწავლა ვალდებულებითი იქნება, ე. ი. არავის არ შეუძლია უსწავლელი დააგდოს თავის შვილი. 3) სჯულის სწავლა მოისპობა შკოლებში: ყოველი დედმამა შინ გაზრდის და ჩააგონებს თავის შვილს იმ სამღვთო კანონებს, რომელზედაც არის დაფუძნებული მისი სარწმუნოება; შკოლა კი ასწავლის ყმაწვილს მარტო წერა-კითხვასა და ზოგ საგნებსა.

ახალი კანონის ძალით, ყოველს სოფელში, სადაც კი არ არის ჯერ გამართული შკოლები, უსათუოთ უნდა გაიმართოს ისინი თვით ამ სოფლების ხარჯით და, თუ რომელსამე სოფელს იმდენი შეძლება არ ექნება, მაშინ მმართებლობა ვალდებულია ხელი გაუმართოს

იმას შკოლის გამართვაში. მთელი ანგლ[...]
გაიყოფა რამდენიმე სამასწავლებლო მაზრა[...]
ყოველ მაზრას ეყოლება თავის შკოლებ[...]
ზედამხედველი (ინსპექტორი), რომელმა[...]
ყოველ წელიწადს უნდა წარუდგინოს მაზ[...]
სამმართველოს ანგარიში შკოლების მდგ[...]
მარეობაზე და მოსწავლეებთ რიცხვზე. ერ[...]
წლის განმავლობაში სოფლებმა უნდა გამ[...]
თონ შკოლები, სადაც აკლიათ. თუ ამ ერ[...]
წლის განმავლობაში ყველგან არ იქნა შ[...]
ლები გამართული, მაშინ მაზრის სამართ[...]
ლო ამოირჩევს თავის წევრებიდან რამდენ[...]
მე პირს, რომელნიც შეადგენენ „სამასწ[...]
ლებლო რჩევას." ამ რჩევას დიდი უფლება[...]
აქვს, კანონით, მინიჭებული: იმას შეუძ[...]
გამართოს ახალი ან შეეწიოს ღარიბ შ[...]
ლებს. რჩევისაგან გამართული შკოლები იმ[...]
ვე მხედველობის ქვეშ იქნება. რაც ხარ[...]
დასჭირდება ამ შკოლებს, ფორსტესრს პრ[...]
ექტით, უნდა გაიყოს სამ ნაწილათ; ერთ[...]
წილს თვითონ შკოლა გადიხდის და დან[...]
ჩენ ორს მმართებლობა, საზოგადოება[...]
ზოგი კერძო პირებისაგან შეძოწირული ფ[...]
ლებ: ღარიბ დედ-მამის შვილებთ სწავლ[...]
თვის არაფერი არ გადახდებათ. ძალდატ[...]
ბითი სწავლის შესახებ ფორსტერმა სთ[...]
„სამასწევლო რჩევას შეუძლია ძალა და[...]
ნოს დედ-მამებს, რომ გაგზავნონ თავია[...]
შვილები შკოლაში სწავლისათვის. თუ ის[...]
არ გაგზავნიან შვილებს შკოლებში, მა[...]
რჩევა გადაახდევინებს ჯარიმას, უკეთუ[...]
დაამტკიცეს, რომ ყმაწვილს შინ, ან სხვ[...]
ვინმე ასწავლის, ან ავათ არის და ან[...]
მიზეზები თუ არ წარმოადგინეს. — ფორსტე[...]
პროექტი ძალიან კარგათ მიიღეს პალა[...]
ში. —

დ უ ბ ლ ი ნ ი (ირლანდიაში), 19 ფებ[...]
ვალ ს. ამ დღეებში აქ მოვიდნენ ახლათ[...]
თავისუფლებულნი ფენიები, რომელთან დ[...]
ძალი ხალხი შეეგება. როცა სალამოს თ[...]
ტრში მივიდნენ, მთელი თეატრის პუბლ[...]
წამოდგა თავის ადგილებიდან და დაიძ[...]
„ირლანდიას გაუმარჯოს!" ამის გამო [...]
მოდგენა ცოტა ხანს გაწყვეტილი იყო.

## იტალია.

რ ო მ ი. ნემეცურ გაზეთში „Algem[...]
Zeitung" დაბეჭდილია ლათინურათ რომში [...]
დგენილი ს ი ლ ა ბ უ ს ი, რომელიც, ამ გ[...]
თის სიტყვით, ახლანდელი მსოფლიო [...]
ბისთვის წარუდგენიათ დასამტკიცებლათ. [...]
ველი მუხლი ამ სილაბუსისა თავდება ან[...]
მით. თითქმის მთელს ქვეყანას, მტკიცე კა[...]
ლიკეთ გარდა, სწყევლის და განრისხა[...]
სილაბუსი, რომლიდგანაც მოგვყავს აქ [...]
დონიმე უფრო საინტერესო მუხლი: „მუ[...]
XII. ვინც იტყვის, რომ ქრისტე ღმერ[...]
მისცა ეკკლესიას უფლება მხოლოთ კა[...]
დარიგებისა და იმის სინიდისის სწორე გზ[...]
დაყენებისა, — ვინც იტყვის, რომ ეკკლე[...]
არა აქვს უფლება გამოსცეს კანონები და[...]
დაიმორჩილოს, ან დასაჯოს, ვინც გად[...]
დება ამ კანონებს, — ანაჭემა. მუხლი [...]
ვინც იტყვის, რომ წმიდა კათოლიკეს ეკ[...]
სიის გარეშე შესაძლებელია ცხონება — ან[...]
მა. მუხლი XV. ვინც იტყვის, თვითონ [...]
სტე ღმერთმა არ დააწესაო, რომ პეტრ[...]
ციქული მუდამ მეფობდეს ეკკლესიაზე [...]
მოადგილეების საშუალებით, ანუ ვინც [...]
ყვის, რომ რომის პაპი ღვთის განგებით[...]
არისო წმ. პეტრეს მოადგილეთ — ანაჭემა[...]

„მ უ ხ ლ ი XVI. ვინც იტვის, რომ რო[...]
პაპს აქვსო მარტო ზედამხედველობის და[...]
რიგების უფლება, რომ არ შეუძლიაო გ[...]
მართლება მოახდინოს და კანონიერათ გ[...]
გოს სხვა და სხვა ეკკლესიებიო — ანაჭემა. [...]
ლი XVII. ვინც იტყვის, რომ დამოუკი[...]
ლი, უზენაესი უფლება, რომელიც მინიჭებ[...]
აქვს კათოლიკეს ეკკლესიას ქრისტეს[...]
ვერ მოთავსდებაო საერო უფლებასთან [...]
რომ ერთმა მეორეს არ ავნოსო — ანაჭემა[...]

---

*) იმათი გვარი და სახელი გამოცხადებულია „დროებაში."

## შვეიცარია.

ჟენევა. ამ ქალაქიდან იწერებიან ნემეცურ გაზეთში—„Neu Freie Presse„, რომ ზოგიერთს მაზრებში კათოლიკები ძალიან უკმაყოფილოთ არიან თავის სამღვდელოებაზედაო. მაგალითად, ბაზელის კანტონში (მაზრაში) გადუწყვეტიათ, რომ დღეის შემდეგ ჩვენ თვითონ ამოვირჩიოთ ჩვენთვის სამღვდელო პირებიო და თუ უმაღლესი საეკკლესიო მთავრობა არ დაგვყვება ამაზედ, მაშინ ჯამაგირი მოუსპოთ ყველა მღვდლებსაო. ამ დროსვე არგაუს კანტონის მცხოვრებთა გაუგზავნეს რომში, თავის ეპისკოპოზს წიგნი, დაუყონებლივ დაბრუნდი თავის ეპარქიაშიო, რადგან ჩვენ იმისთვის კი არ გაძლევთ ჯამაგირსო, შეუთვალეს, რომ პაპის შეუცოდებლობაზე იქადაგო მანდ, იმისთვის გაძლევთ, რომ რიგიანათ განაგო შენი ეპარქიის საქმეებიო.—

## ისპანია.

მადრიდის მუშებმა მოახდინეს ამ ქალაქში არეულება, რომელიც კიდევ უფრო უძნელებს ახლანდელ მინისტრებს უიმისოთაც დაბნეული სექმეების მოვლას. ამბობენ, რომ ლონდონის „მუშებთ კამიტეტის„ აგენტები დაიარებიანო ისპანიაში და აქეზებენ მადრიდის მუშებს, რომ არეულობა მოახდინეთო.—

## ავსტრია.

ვენა, 22 ფებრვალს. აქაური სტანბების ასოს-ამომწყობლებმა პირობა მისცეს, ერთმანეთს, რომ, სანამ ჯამაგირი არ მოგვიმატონ და მუშაობის დრო არ მოგვიკლონ, მანამ ხელს ნუ მოვკიდებთ მუშაობასაო. ამის გამო გუშინდელი დღიდგან თითქმის ყველა ვენის გაზეთები ერთს და იმავე ამბებს ჰბეჭდენ და ამას გარდა ერთი ფურცლის ნაცვლათ ნახევარ-ნაფურცარი გამოდის.—

## ოსმალეთი.

უკანასკნელ დროს კოსტანტინეპოლში გავრცელდა ხმა, რომ საბერძნეთსა და ჩერნიგორიას პირობა შეუკრავთ ოსმალეთის წინააღმდეგო. ამას გარდა, ამბობენ, რომ აქ შემდგარა საიდუმლო საზოგადოება, რომელსაც განუზრახავს ოსმალეთში არეულობის მოხდენა; ამ განზრახვაში, ისმის, გარიბალდიც არის გარეული.

—კოსტანტინეპოლი, 19 ფებრვალს. ერთს ფრანცუზულს გაზეთში იწერებიან სტამბოლიდან, რომ გარიბალდი დიდი ხანია დაპირდაო ბერძნების კამიტეტს ოთხი ათასის ჯარის გაგზავნა ბალკანის გასათავისუფლებლათ ოსმალეთის მფლობელობისაგანაო. ახლა, ამ გაზეთის სიტყვით, გარიბალდის მიუწერია კამიტეტისათვის წიგნი, რომ მე ორი ათასი ამხანაგით მზათა ვარო კაცა, ვნახავ თუ არა შემთხვევას, იმწამსვე მოვალ საბერძნეთშიო. სხვათა შორის გარიბალდი ამბობს კიდევ, რომ ოსმალეთი ყველაზე უფრო საშიშო მტერი არისო კაცობრიობის და ამისათვის ყოველი ღონის-ძიება უნდა ვიხმაროთო, რომ მოვსპოთ იმის მფლობელობა ევროპის ქრისტიანებზედაო.

---

# გორას მანნი

(სიტყვა თქმული ლაბულესაგან პარიჟის Collége de France-ში).

ამერიკის ნიადაგს თუ როდისმე გაუზრდია უდიდესი ჭკუა და კაცობრიობის კეთილ-მოქმედი კაცი, უსათუოდ იმათში გორას მანნიც გარევია, რომელზედა მე დღეს ვილაპარაკებ. იმისგან დავალებულმა ბოსტონის ქალაქმა დადგა ძეგლი მისს მარად სახსენებლად.

თუ იცით, რათ მომყავს ხოლმე ჩემი მაგალითები ამერიკის ცხოვრებიდგან? როდესაც ფრედერიკოს პასსი შრომაზე ლაპარაკობდა, დაამტკიცა, რომ ჩვენ ვართ მოხუცებული ერი, რომელიც ცდილობს განახლებას, კანის გამოცვლას და ეს დრო ყოველთვის შეუძლოობის დროა! ამერიკის ერი სულ სხვა გარემოებაშია ჩაყენებული, სხვა პირობებით არის გარემოცული; იმას ჩვენსავით საჭიროებოთ არა აქვს ძველებურ ჩვეულებასთან და წესთან ბრძოლა.

ამერიკაში გასახლებულმა პურიტანელებმა*) დაგდეს უწინდელს თავის სამშობლოში ეკკლესია, აზნაურობა, სანიადაგო მხედრობა და ადმინისტრატიული უმცროს-უფროსობა. ისინი გათანასწორდნენ ერთად თავის ახალ ქვეყანაში და დააწესეს, რომ ყველას მხოლოდ თავისი შრომით ეცხოვრა. ჩვენ ძველებურ ხსოვნასთან და ძველიდგან დადგენილ ამ დროის დაწყობილებასთან შეზრდილნი რაც სხვა და სხვა ცვლილების მოხდენას ვცდილობთ, ისინი ამერიკელებმა თავის ახალ ქვეყანაში მისვლისათანავე მოახდინეს. ისინი ძველ ცუდ ჩვეულებასთან ბრძოლას აღარ საჭიროებდენ. ამერიკა ბევრს ჯერ კიდევ ველურ ახალ ქვეყნად მიაჩნია. მე კი სულ სხვა აზრისა ვარ და ვამტკიცებ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გავმხდარვართ იმათთანა ერი და უნდა გავხდეთ კი. ამერიკა დამჯდარი დემოკრატია არის. მაგრამ ვინც პირველად იწყებს მგზავრობას ამ ქვეყანაში, ის ბევრს ახირებულს და განსაცვიფრებელს შენიშნავს. ამისთვის გთხოვთ, დროებით იქით გადასდევათ, რაც აზრი შეგიდგენიათ ამ ქვეყანაზე.

ბევრი ისეთი რამ არის ჩვენ ცხოვრებაში, რომელიც ძრიელ საჭიროთ მიგვაჩნია და ვფიქრობთ უიმათოთ ქვეყანა ვერ გასძლებდაო. მაგრამ ეს მხოლოდ ასე გვეჩვენება: კარგათ რომ განვიხილოთ, დავინახავთ, რომ ხშირად რაც მიუცილებელ საჭიროებათ შეგვირაცხავს, სრულებითაც არ არის ისე საჭირო ქვეყნისათვის. ამ საგანზე ამერიკელებმა იციან ერთი არაკი, რომლის ცოდნა ჩვენთვისაც სასარგებლოთ დარჩება. აი, ეს არაკი:

იყო და იყო ქვეყანაზე ერთი სულთანი, რომელიც მუდამ დღეს თავის სახელმწიფოს ფიქრში ატარებდა და ამის მიზეზით პატარა წითელ თევზებს აშენებდა. ხან და ხან თავის ქვეშევრდომებსაც აჩვენებდა ხოლმე ამ პაწაწინა სულიერებს და ერთხელ იმათ ასე უთხრა: „ხედავთ ამ წყლით გავსებულს ჭურჭელს? ეს ისე სავსეა, რომ ერთი წვეთიც რომ მიემატოს, თავს გადმოდინდება; მაგრამ თევზი რომ ჩაუშვათ, წყალი არ გადმოვაო.“

ერთმა კარის კაცმა, ოსმალელმა ფიზიკოსმა შეადგინა მთელი თეორია ამ საგანზე და ახსნა ეს შემთხვევა იმითი, რომ თევზი არის შედგენილი ღუნი ნივთიერებისაგანაო. ოსმალოს თეოლოღმა (საღვთო მეცნიერმა) ეს ამბავი შერაცხა საკვირველებათ, რომელიც მოახდინა ალლახმა თავის წინასწარმეტყველის მემკვიდრის სასიყვარულოთო. სხვა კარის კაცებმა ამაზე არა თქვეს რა და ბოლოს ყველას დაავიწყდა ეს ამბავი. იქნება ზოგიერთმა იმათგანმა კარგათ იცოდა, რომ სულთანს მინიჭებული აქვს თავის მოკვეთის უფლება და ადგილების დარიგება; მაგრამ იმისი დარდი კი არ აწუხებდა იმათ—თევზისა და წყლის ამბავი მართალ ბუნებითი მოვლენა არის, თუ ღვთის განგებით არის წარმოებული.

მხოლოდ გამოჩნდა ერთი კარის კაცი, რომელსაც სისხლში ჰქონდა ჩადგმულ გამომეძიებლობის მოყვარეობა და ის „ბოროტი სული, რომელსაც ჰსურს ყოველივე შეიტყოს და ახსნას: როცა მარტოთ მარტო დარჩა დარბაზში, გამოსცადა, ნუ თუ მართლა თევზი რომ ჩავსვა ამ გაპიპინებულს ჭურჭელში, თავს არ გადმოსდისო. ჩაუშვა თევზი და წყალი გადმოვიდა. სულთანის ნაწინასწარმეტყველევი სიცრუე გამოდგა...

რამდენია ქვეყანაზე ამ სულთნისთანა წრფელი გულით დაჯერებული ხალხი. მაგალითად, ჩვენ, ფრანცუზებს გვჯერა წმინდის გულით, რომ ერის აღზრდა მხოლოდ სახელმწიფოს მოვალეობაა, რომ მხოლოდ ნაფიც მასწავლებელთა შეუძლიანთ მოწაფეების გამოზრდა და რომ ერის განათლებაზე, რაც შეიძლება, ცოტა უნდა იხარჯებოდეს. ამერიკაში კი განათლება თვითონ თემის საქმეა და არა სახელმწიფოსი; ახალგაზდობის სწავლება ქალების ხელშია და, რაც სხვა სახელმწიფოში მხედრობაზე ხარჯი გადის, ის ამერიკაში სულ ერის განათლებას უნდება.

1785 წ. მასაჩუზეტის შტატში შენდებოდა პატარა ქალაქი; ამ ქალაქის პატრონათ ამოირჩიეს ფრანკლინი. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ფრანკლინი უსათუოთ რასმე გამოუგზავნიდა საჩუქრათ ახალ-დაბადებულ ქალაქსა; მომატებული ნაწილი ჰფიქრობდა, რომ ის გამოგზავნის ზარსა საყდრისთვის ან ქალაქის დუმისათვისო. მაგრამ ფრანკლინმა გაუგზავნა ქალაქს ბიბლიოთეკა და შეუთვალა, იმედი მაქვსო, რომ თქვენ ჭკუა-გონების მომატებას და გახსნას ამჯობინებთ ზარის ხმების მომატებასაო.

ათი წლის შემდეგ ამ ქალაქში დაიბადა გორას მანნი, რომელზედაც მე მსურს დღეს გესაუბროთ. ის იყო შვილი ერთი წვრილი მემამულესი, რომელიც არჩენდა თავის თავს და ოჯახს საკუთარი ხელებით. თერთმეტი წლის რო შეიქნა გორასი, მამა მოუკვდა; ახლა იმას დააწვა ოჯახი თავზე; თითქმის დილიდან საღამომდი ის მუშაობდა თუ ყანაში, თუ შინ და ამ რიგათ არჩენდა, თავის თავს გარდა დედასა და დას. სიყმაწვილიდგანვე გორასს დიდი სურვილი ჰქონდა სწავლისა; თუმც შკოლა იმათ სიახლოეს იყო, მაგრამ იმას არ ჰქონდა თავისუფალი არც დრო და არც ფულები, რომ წიგნები ეყიდნა. ბოლოს, როგორც იყო, იპოვა ერთიც და მეორეცა და შევიდა შკოლაში, მაგრამ აქაური სწავლა და მოწყობილობა მაგდენათ არ აკმაყოფილებდა გორასსა. შკოლაში დაჰყოფდა ხოლმე რამდონიმე საათს, დანარჩენ დროს კი გაუწყნარებლივ მუშაობდა. „მე ვერ გამიგია, ამბობდა გორასი, ის ნაზი სულდგმულები, რომელთაც შრომა ეზარებათ; უსაქმოთ მე ისე არ შემიძლია გაძლება, როგორც თევზს უწყლოთ.“

ოცი წლის რომ შეიქნა, ის შევიდა ბრაუნის უნივერსიტეტში და სამ წელიწადს სტუდენტათ იყო. შემდეგ, ორი წელიწადი თვითონ ჰკითხულობდა ლექციებს. უნივერსიტეტში იმან გამოიჩინა თავი ერთი სიტყვით, რომელიც წარმოსთქვა ჯილდოების დარიგების დროს. ამ სიტყვაში იმან განმარტა ტიურგოს აზრი, რომ კაცი ისეთი არსება არისო, რომელსაც ერთს ალაგას გაჩერება არ შეუძლიაო, ის მუდამ და ყოველი მხრით წარმატებას სცდილობსო.

შემდეგ იმან მოჰკიდა ხელი ადვოკატობას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერ ძნელი საქმეა: თუ მცოდნე, პატიოსანი და განთქმული კაცი არა ხარ, კაცი არ მოგანდობს საქმეს. გორასმა კი ძალიან კარგათ და პატიოსნურათ წაიყვანა თავის საქმე, ასე რომ მასაჩუზეტსის საზოგადოებამ ამოირჩია ის თავის წარმომადგენელად (დეპუტატათ) პალატაში და სენატში, სადაც ბევრი კეთილი და ქვეყნის სასარგებლო საქმეები გააკეთა. სხვათა შორის ის ჰქადაგობდა აქ ლოთობის მოსპობაზე და რკინის გზების და სახალხო განათლების გავრცელებაზე.

1837 წ., მასაჩუზეტში განიზრახეს სახალხო განათლების კამიტეტის დაწესება. ეს კამიტეტი უდრის ჩვენს სახალხო განათლების სამინისტროსა. გორას მანნს სთხოვეს, რომ ეკისრნა სეკრეტრობის თანამდებობა ახალ კამიტეტში; ამ დროს ის იყო 41 წლისა.

ამერიკაში ყოველი მაზრა თავის ნების დაგვარად მოქმედობს, ერთი მაზრა მეორესაგან სრულებით დამოუკიდებელია. მაშასადამე ამ კამიტეტის არსებობისთვის აუცილებლად საჭირო იყო, რომ ყველა მაზრებ[ი] ერთად დათანხმებულიყვნენ ღონის-ძიების და საშუალების მიცემაზე. ამ საქმის სისრულეში მოყვანა დამოკიდებული იყო იმაზე, ვინ და როგორი კაცი მოჰკიდებდა ხელს. მანნმა დაანება თავი დეპუტატობას და ადვოკატობასაც, თუმც ამ უკანასკნელი თანამდებობისაგან ძლიერ კარგი შემოსავალი ჰქონდა და შეუდგა ამ კამიტეტის საქმეს; ზოგიერთები ამხილებდენ იმას და ეუბნებოდენ, რომ რათ დაკარგე ჩინებული შემოსავლიანი ალაგი და რათ ჰკიდებ ხელს მაგისთანა საეჭვო საქმესაო. მაგრამ იმათ არ ესმოდათ, რომ ის ასრულებდა ნამდვილ დანიშნულებას კაცისას: თავის საკუთარი სიცოცხლე და კეთილ-დღეობა იმან შესწირა საზოგადო სასარგებლო საქმის წარმატებას. მანნი თორმეტი წელიწადი (1837—1849) იყო კამიტეტის სეკრეტრათ; 1843 წ. იმან დაიარა თავის ხარჯით მთელი ევროპა, გაიცნო საუკეთესო სწავლის მეტოდები და შემოიღო ისინი თავის შკოლებისთვის. დაბრუნდა თუ არა ევროპიდან გორას მანნმა დაიარა მასაჩუზეტსის მაზრები და ყველგან უქადაგებდა შკოლების და სასწავლებლების გახსნას. პირველში იმის სიტყვებს მაგდენათ არ უგდებდენ ყურს, მაგრამ ბოლოსა და ბოლოს მანნის მჭევრ-მეტყველებამ მიაქცია ყველას ყურადღება.

„თქვენ აშენებთ, ეუბნებოდა მანნი თავის მსმენელებს, სასამართლოებსა და გასაწრთვნელ საპყრობილეებს იმისთვის რომ დასაჯოთ, კაცი, რომელსაც, თავის უმეცრების გამო, ცუდი რამ მოუქმედნია, რამე დაუშავებია; თქვენ დასჯით ისეთ კაცს, რომელსაც, უსწავლელობის გამო, უიმისოთაც მუდამ სდევნის ბედი და ყოველი უბედურება! თქვენვე არა ხართ ამაში დამნაშავე? გამართეთ შკოლები, თუ გინდათ, რომ მოისპოს უმეცრება, ცუდ-კაცობა და სიღარიბე! ამ საშუალებით თქვენ მოჰკლავთ კაცში ყოველ ცუდს, პირუტყულ გრძნობას და დასთესთ საზოგადოებაში კეთილ დღეობას და კეთილ-ზნეობას; მაშასადამე ყველას მისცემთ საშუალებას რომ ბედნიერათ იცხოვროს!“

გორასი მანნის თეორია ეს არის.

მაგრამ მარტო თავში ამისთანა აზრის ქონება არ არის საკმაო; სანამდის გორასი მანნი გამოჩნდებოდა, მანამდისაც ბევრს უტრიალებდა თავში ეს აზრი: მაგალითად, ფრანციის რევოლუციის დროს კონვენტმა ბევრი ისეთი პროქტები გამოსცა, რომელშიაც ნათლად იხატებოდა ის აზრი, რომ შეიძლება მთელი ერის ჭკუა-გონებით და ზნეობით ამაღლება განათლების შემწეობითაო. კონდორსიემ ეს იმედი ცხადათ წარმოსთქვა.

მაგრამ აზრი და იმის შესრულება შორი-შორს არის ერთმანეთზე. და მართლაც დიდია ის კაცი, რომელმაც იცის ჭკვიანი აზრის ცხოვრებაში გაყვანა.

გორას მანნმა თავისი აზრი საქმითაც აღასრულა. თუთხმეტმა შტატმა მიიღო იმისი თეორია და ამ ჟამად 15 მილიონ კაცის სულზე მტკიცდება იმისი აზრის დიდი სარგებლობა.

საკითხავია, როგორ აასრულა იმან ეს აზრი?

პირველად შკოლის გარეგან შეხედულობას მიაქცია დიდი ყურადღება. ხუროთ მოძღვრათ გადაიქცა და თვითონვე იწყო შკოლის შენება. ამ შემთხვევაში არა ვითარს წვრილმანს საქმეს არ სტოვებდა შეუნიშნავათ; ყმაწვილობაში მოპოებული სწავლაც ძალიან გამოადგა ამ შემთხვევაში. ყველაზე უფრო მიაქცია ყურადღება, რომ შკოლაში მუდამ წმინდა ჰაერი მდგარიყო. დიდი ხანი არ არის, რაც თვითონ მე დავრწმუნდი, რომ ეს პირველი საქმეა. მე და ფრედერიკ პასსი ვიყავით იმის მოწამე, რომ ერთ საუკეთესო პა-

---

*) პურიტანის ერესი ბევრით ჩამოგავს ანგლიკანის სარწმუნოებას. უმთავრესი ყურადღება აქვთ მიქცეული ზნეობის წმინდათ დაცვისათვის.

რიქის ზალაში სიტყვა რომ დაიწყო ორატორმა, თავიდგანვე შეეტყო გულის წუხილი დამწყვდეულ ჰაერისაგან. უთუოდ იმავე ჟამს იმისი მსმენელნიც იმასვე ჰგრძნობდენ. ამის მიზეზი ოთახში ჰაერის გაუწმენდელობაა. კარგი ჰაერი ყმაწვილებისთვის კიდევ უფრო საჭიროა, ვინამც დიდებისთვის. როგორ უნდა მოსთხოვოს კაცმა ყურის გდება იმათ, როდესაც ეს ნორჩი ყრმები თვითონ შეწუხებულნი არიან სულის ხუთვით.

გორას მანნის პლანზე გაკეთებულ შკოლაში ყოველ მოწაფეს აქვს საკუთარი სკამი და პაწაწა სტოლი; თვითონ სკამები ძალიან მოხერხებულათ არის ნაკეთები და არასოდეს არ გადაბრუნდებიან.

როცა გორას მანნი მოიგონებდა თავის სიყმაწვილეს შკოლაში, საცა ისეთი მაღალ ხის სკამებზე იყო ხოლმე შესკუპებული, რომ ფეხებს ძირს ვერ აკარებდა, იტყოდა: ჩვენმა შვილის შვილებმა რომ ნახონ ჩვენი შკოლის სკამები იტყვიან, ჩვენ წინაპარებს ერთი საჟენი ფეხები ჰქონიათო. იმის შკოლაში ყოველ მოწაფეს თავის კანტორკა ჰქონდა, ის სრული პატრონი იყო თავის კანტორკისა და ამის გაფუჭებაზე მხოლოდ თვითონ აგებდა პასუხს თავის უფროსებთან. ახლა ის იყო სრული თავის პატრონი, სხვა მოწაფეებთან არა ჰქონდა რა სადაო და მოშორებული იყო იმათ შევიწროებისაგან. ერთი სიტყვით, მოწაფე შკოლაში ჰხდებოდა კერძო პირად; იმას ჰქონდა თავისი [illegible]რება და იქვე ჰხდებოდა კაცად, მემამულედ.

იმის შკოლის კედლებზე ეკიდა გეოგრაფიული კარტები, თავის ქვეყნის სახელ განთქმული კაცების სურათები და ნახატები, რომლებზედაც თავის ქვეყნის საწონი და საზომი იყო გამოხატული.

მარეგანი შკოლის შემკულობა გერმანიიდგან გადმოიღო გორას მანნმა.

ერთ ლუტერის დროს დაწერილს ქრონიკონში წავიკითხე მოთხრობა, რომელშიაც ეწერა: როგორც თვითონ ერთი ნემეცი ამბობდა, მე ცუდი ყოფაქცევისაგან დამიხსნაო ათმა მცნებამ, რომელიც ჩვენ შკოლაში ეკიდა. ამ კაცს თავისი სინიდისი მუდამ თვალ წინ ჰქონდა.

გორას მანნის გაკეთებული შკოლა ყმაწვილების სასიმთელოთ იყო მოწყობილი და შიგ ყოველივე იტაცებდა ყმაწვილის თვალს. თუ ყოველს ქვეყანას თავის საკუთარი სახსოვრები აქვს, ამერიკის სახსოვრებიც ამ შემთხვევაში იმისი შკოლა და ეკკლესიებია. სამხედრო კაზარმების საკეთებლათ ჯერ იქ არ დაბადებულა ხუროთ-მოძღვარი.

შკოლის შემდეგ ვილაპარაკოთ მასწავლებელზე და მაშინ დავრწმუნდებით, თუ რა კეთილის მოტანა შეუძლია ყოველ კეთილ საქმეს.

1831 წელს გიზომ გაგზავნა კუზენი გერმანიაში ყველაფრის სასწავლებლათ, რაც კი პირველ დაწყებითს სწავლებას შეეხება. კუზენი დაბრუნდა და წარუდგინა მთავრობას რაც კი ენახა, ან გამოეცადნა, იმის ანგარიში, რომელმაც მიიპყრო საზოგადო ყურადღება. ეს ანგარიში მისწვდა თვითონ ამერიკაშიაც; გორას მანნი იმით დარწმუნდა, რომ მიუცილებლათ უნდა დაფუძნდეს ისეთი ნორმალური შკოლები, რომელშიაც სწავლობდენ მასწავლებელნი, თუ როგორ უნდა ასწავლონ მოწაფეებს, რომ თავისი სწავლა სრულად გადასცენ.

იმან მოილაპარაკა თავის თანამემამულესთან უაიტთან, რომელმაც ამ საქმისთვის მისცა იმას 50,000 ფრანკი.

მხოლოდ ამერიკელებს შეუძლიანთ კარგი საქმის კეთება, იმათ სისხლში დუღს საქსონიის და ნორმანნის ტომის თვისება. თუ ამერიკელი საზოგადო საქმისთვის აძლევს 50,000 ფრანკს, კანონ-მდებელი კრებაც არ მოაკლებს თავის შეწევნას, როცა იმას ეტყვიან, რომ ერთმა კაცმა კეთილი საქმისთვის 50,000 ფრანკი შესწირა და თქვენ ერთი ამდენს კიდევ როგორ ვერ გამოიმეტებთ ამ კეთილ საქმისთვისო? ამ ასი, ათასი ფრანკით, როგორც თვითონ გორასი მანნი ამბობს, ჩემი ხომალდი ჩაუშვიო ზღვაში 1839 წელს. მაგრამ როდესაც ამ ხომალდისთვის დაიწყო მეხომალდეების მოგროვება, წარმოიდგინეთ, რა მოხდა! მსურველნი ქალები უფრო ბევრი გამოჩნდენ, ვინამც კაცები.

ფრანციაში რომ მომხდარიყო ეს ამბავი, ასე დაიწყებდენ ლაპარაკს. ეს შეუძლებელიაო, თავის დღეში არ ყოფილაო მაგისთანა საქმე. არ ვიცით, რა ვიფიქროთო... ამერიკაში თქვეს: ვსცადოთო. ერთი სიტყვით, ამ საქმეშიაც თევზების და სულთნის ისტორია გამართლდა.

ქალების ჯარი გარს ეხვეოდა გორას მანნს და იმან აარჩია იმათში მასწავლებელნი, რომელთაც ძალიან კარგათ დაიწყეს საქმის წაყვანა. ახლა ექვს შკოლაში ხუთი მაინც უსათუოთ ქალების ხელშია. ოცდა ათი წლის გამოცდილებამ აცნობა ამერიკელებს, რომ დედაკაცის დანიშნულება სწორეთ ყმაწვილების აღზრდააო. ეს თუ დედაობით და დობით მტკიცდება, რატომ ქალის მასწავლებლობითაც არ უნდა დამტკიცებულიყო შკოლაში.

გორას მანნსა ჰქონდა ჩვეულება რომ შკოლაში ქალ-ვაჟს ერთად ესწავლა. ის ამბობდა: მამა-კაცნი და დედაკაცნი დასაბამიდგანვე ერთად საცხოვრებლათ არიან გაზდილნი და ამის გამო ყმაწვილობიდგანვე უნდა მიეჩვიენ ერთად ცხოვრებას. უამისოთ ქალი საზოგადოებაში იწყებს მორცხობას და ვაჟი უზრდელათ იქცევა ხოლმე. ის ახალგაზდა ქალებში ყოველთვის მოწყენილია და ყავახანაში უფრო სიამოვნებით ატარებს დროებას.

ამავე მიზეზით ახალ ცოლ-ქმარს ძალიან უჭირს ოჯახობის შეჩვევა. ახალგაზდა ვაჟები ყოველთვის რომ ახალგაზდა ქალებში ატარებდენ დროს, მაშინ ასე არ მოხდება. ამერიკელს არ ესმის, როგორ შეიძლება უცოლშვილოთ ცხოვრება და არც მოსწონს ეს ჩვეულება.

(დასასრული შემდეგში).

## სხვა და სხვა ამბავი..

— ფრანცუზულ გაზეთებში ბევრს ლაპარაკობენ ამ ჟამად სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. სხვათა შორის ამ ნაირი დასჯის წინააღმდეგ მოჰყავთ ის, რომ სხეულს მოშორებულ თავს რამდონიმე ხანს არ ეკარგება გრძნობაო და საშინლათ იტანჯებაო; ეს დაამტკიცეს ექიმებმა. ერთს გაზეთში მოყვანილია შემდეგი შემთხვევა, რომელიც მოხდარა ვილაც დიუტელიეს თავის გაგდებინების დროს; ამ დიუტელიეს გააგდებინეს გილიოტინით თავი, მისთვის რომ სამი კაცი მოეკლა. ამბობენ, რომ რამდონიმე მინუტის განმავლობაში დიუტელიეს თავი, რომელიც მოშორებული იყო სხეულს, საითაც დაუძახებდნენ „დიუტელიეს“-სახელს, იქით მიაბრუნებდა თვალებსაო. ეს ამბავი, თუ მართალია, ნათლათ ამტკიცებს, რომ სხეულს მოშორებული თავი იმ წამსვე არ ჰკარგავს გრძნობა—გონებასა.—

*

— ყოველი მხრით სრული და უბიწო ხასიათის ხალხი ქვეყანაზე ძნელათ მოიპოვება: ზოგს ერთი ნაკლულევანება აქვს ხასიათისა და ზოგს მეორე; მაგ. ფრანცუზები ტრაბახა და ცეტი ხალხია, ანგლიელი მეტის მეტი ამაყია და ცუდი მოსაუბრე, ნემეცი მეტის მეტი ფილოსოფოსი და გულ ჩახვეულია, იტალიელი—ფიცხელია, ბერძენი—დაუნდობარი, ურია—ფულის მოყვარე, ჩვენ ქართველები (ხომ არ გეწყინებათ, რომ ვსთქვაზ) ცოტათი „კეთილი ცხოვრების“ მოყვარენი და დაუდევარნი ვართ. ერთს ამერიკულ გაზეთში მოყვანილია შემდეგი ციფრები, რომელნიც გვიმტკიცებენ რა სისუსტე სჭირს ხასიათისა ამერიკელებს, სხვა ბევრ ღირსებებთ შორის: ღვთის სამსახურისთვის ყოველ წელიწადს იხარჯება ამერიკაში — 12 მილიონი დოლარი (თითქმის ჩვენ მანეთს უდრის), სხვა და სხვა გვარი დამნაშავეების მოსაჰკუანებლათ — 40 მილიონი და მარტო რომში გაუდისთ 200 მილიონი! დალოცათ ღმერთმა, კარგი ჩაყლაპვა სცოდნიათ!...

*

— ამ ახლო ხანს გამოვიდა ლონდონში გ ა რ ი ბ ა ლ დ ი ს რ ო მ ა ნ ი, სახელად „La Signioria monocale“ (ბერების მეფობა). როგორც თვით სათაურიდან სჩანს, ეს რომანი იმისთვის არის დაწერილი იტალიის განმათავისუფლებელისაგან, რათა დაამტკიცოს, რომ პაპის საერო უფლება (ხელმწიფობა) და ბერების მეტის მეტი გავლენის ქონა სასარგებლო საქმე არ არის იტალიისათვის. ამბობენ, რომ, როცა ამ რომანის გამოსვლა შეიტყო დიუმა-მამამ, აღტაცებაში მოვიდა და წამოიძახაო: „მე და ჩემი მეგობარი-გარიბალდი ყველაფერში მარჯვე ვართ! კალმითაც ვარიგებთ საქმესა და ხმლითაც. დღეს მაგალითად, ის ღენერალია და მე მწერალი; ხვალ, თუ საჭიროება მოითხოვს, მე ღენერალი გავხდები და ის კალამს მოჰკიდებს ხელს. მწერლობა იმას, როგორც სჩანს, არ გაუჭირდება.“

*

— თითქმის ყველა განათლებულ სახელმწიფოებმა მიხვდენ, რომ ვალისათვის სესხის ამღების დასჯა უსამართლო საქმეა. პრუსიაში, ბელგიაში, ლოლანდიაში და, როგორც გვახსოვს, შვეიცარიაშიაც მოვალეს არა აქვს უფლება, როგორც სხვაგან, დასჯოს, ვინც თავის დროზე იმის სესხს ვერ გადიხდის; იქ ეუბნებიან მოვალეს, რომ, თუ იმედი არა გაქვს ამოგებისა, ნუ მისცემ ნურავის ფულსაო და ან საიმედო გირაო გამოართვიო. ამ კანონის მოსპობაზე რუსეთშიაც ლაპარაკობდნენ ამას წინეთ. ანგლიაში ეს კანონი მოისპო შარშან და ბევრი დატუსაღებულები განთავისუფლდენ ამის მიმადლით. სხვათა შორის გაზეთებში მოჰყავთ ერთი შესანიშნავი მაგალითი. ვილაც ბარნაკლესს ჰქონოდა 1848 წელს დავა ზღვის უწყებასთან, საქმე წააგო და სასამართლოს ხარჯი, რამდონიმე ათასი მანეთი, უნდა გადეხადა; მაგრამ რადგან ვერ შეიძლო იმის გადახდა, ჩასვეს ციხეში, რომლიდგან, როგორც ამბობენ, მხოლოთ შარშან, ახალი კანონის წყალობით, გამოუშვიათ; ასე რომ ოცდა შვიდი წელიწადი დაჰყო საპყრობილეში, მხოლოთ მისთვის რომ შეძლება არა ჰქონდა. რომ ჩასვეს, ის იყო ახალგაზდა, ჯანიანი და მუშაობის შემძლე; ახლა კი ოცდა შვიდი წლის საპყრობილეში ყოფნამ ისე დაუძლურა და დააბერა, რომ ხელის განძრევაც არ შეუძლია თურმე და, თუ შემწე არავინ ამოუჩნდა, იქნება შიმშილითაც მოკვდესო.—ამის შემდეგ, ამბობს ჟურნალი „Искра“, მოდი და მითხარით, რომ სიღარიბესა და ცუდკაცობას შუა განსხვავება არისო! ის არ სჯობდა, რომ თავისუფლება მიეცათ საწყალი ბარნაკლესისთვის? იქნება ეშრომნა და რამე გზით გადაეხადნა თავის ვალი.“

*

— ამბობენ, რომ ჩინელებისთანა ძუნწი ხალხი ქვეყანაზე არ მოიძებნებაო; გაზეთში „Opinion Nationale“ მოყვანილია ერთი მაგალითი ამ სიძუნწისა: „ერთი მდიდარი ჩინელი უკანასკნელ მდგომარეობაში არის; შვილი თავს ადგას იმასა და სტირის...

— ჩემო შვილო, უთხრა იმას მამაკვდავმა, ჩემთვის კუბოს ნუ ჰყიდულობ; ძვირათ დაგიჯდება. ჩვენ ეზოში აგდია ძველი, დამტვრეული ზანდუკი, იმაში ჩამდევი და ისე დამმარხე.

— ბატონი ბრძანდები, მაგრამ ის ზანდუკი, მამა, მოკლე იქნება შენთვის.

— თუ არ ჩაეტევი, ფეხები მომხერხე, შვილო. მაგრამ ჩვენი ახალი ხერხი კი არ გააფუჭო ამისთვის, მეზობელს სთხოვე ძველი ხერხი და ამისთანა საჭირო საქმისთვის, უეჭველია, არ დაგიკავებს.

*

## ფაცხა.

მიყვარს ფაცხა [illegible]
მთა-კორტოხზე წამოდგმული,
უფიცრო და უყავარო,
წვრილი წნელით ჩახლართული!

—

სახლი მინახავს დაგული,
ჰქონდა პოლი გალაქული;
მაგრამ იმ სახლის მცხოვრები
იყო მტრული და ორგული.

—

და ჩემ ფაცხაში საწყალი
იდგა ერთი დაჩაგრული;
მაგრამ გული იმას ჰქონდა
კეთილი და მასპინძლური.

—

მისთვის ფაცხა მოურთველი
მიყვარს მთაზე წამოდგმული,
უფიცრო და უყავარო,
წვრილი წნელით ჩახლართული!

—

ვიცი სახლი ჩინებული,
გამოშალაშინებული,
ეზო, გარემო, მამული,
ვერცხლში შამოკავებული;

—

იქ ყმაწვილები ჩაცმულნი,
უცხო გვარად მოკაზმულნი,
იცინოდენ, თამაშობდენ
და იყვნენ გახარებულნი.

—

მაგრამ ფაცხიდან ყმაწვილი,
ტიტრაქა და უფერული,
ხან დედასთან დათამაშობს,
ხან ჰყავს გულში ჩახუტული.

—

ამ გვარათ არს გამოზდილი
პაწაწინა უსუსური:
დედის, მამულის და შრომის
დარჩება ის მოყვარული.

—

და მისთვისაც მოურთველი
მიყვარს ფაცხა წამოდგმული,
უფიცრო და უყავარო,
წვრილი წნელით ჩახლართული,

—

ჩემ ფაცხაში პეროჟნები
არ არის გაკეთებული;
მაგრამ სუფრაზე წვადი მაქვს
ცეცხლზედ აშიშინებული.

—

მუდამ მზათა მაქვს ქადური,
რძე, ყველი და ხაჭაპური;
ღვინოცა მაქვს, როგორც არის,
ორი კოკა ჩვენებური.

—

და მისი ვარ მეც ერთგული,
მორჩილი და მოყვარული,
ვისაც უყვარს ჩვენი ფაცხა,
წვრილი წნელით ჩახლართული.

გ. ჭ ა ლ ა დ ი დ ე ლ ი.

1870 წ. 29 იანვარს.
ს. ჭალადიდს.

## კერძოობითი განცხადებან

უფ. სულხანოვის სამეურნეო ფერმა[...] რომელიც იმყოფება ქართლ'ში, სოფ. ტი[...] ძნისის წრეში, მომავალს შემოდგომისათ[...] იქნება გადასარგავათ მომზადებული რამო[...] ნიმე ათასი ხეები, დამყნობილი კარგის გ[...] რის ხეხილებისაგან. ეს ხეები გაისყიდებ[...] ვაშლისა და მსხლისა თვითოეული ორ აბაზათ; ატამი, ნუში, ალუ[...] გარგარი, ბალი და ალუბალი თვით[...] ეული—ექვს შაურათ. ამასთან ყოვე[...] მყიდველს მიეცემა დარიგება მოვლისათ[...] თუ ჩვენგან ნასყიდის ხეებიდგან რომელი[...] მოსკდება, მაშინ სანაცვლოთ მაგიერი მ[...] ცემათ, უკეთუ ჩვენ მიერ მიცემული დარი[...] ბა, შესახებ მოვლისა, იქნება მათგან აღს[...] ლებული. გორის უეზდის გარეშე მცხოვ[...] ბთა თავიანთი მოთხოვნილება უნდა გამ[...] ზავნონ: ქ. გორს, ივანე სულხანოვის [...] ხელზედ.

გორის უეზდის გლეხებს მუქთად მიე[...] მათ ხეები, თუ, ნაცვლად მიცემულს დამყნ[...] ბილის ხეებისა, მოიტანენ ტყის გარეულს [...] ტას და მოახლო ვაშლის ხეებს.

ს წ ა ვ ლ უ ლ ი მ ე ბ ა ღ ე თ. დ. ციციში[...]

—

გორის უეზდის, სოფელს ტირძნისს, საღ[...] არის ენდროს პლანტაციები, გაისყიდება [...] რეთვე, ნარდათ,— მიწიდან ამოსაღები [...] დრო; მხოლოდ იმ პირობით, რომ თ[...] მყიდველმა ამოიღოს მიწიდგან ან ამ გაზ[...] ხულზედ, ან შემოდგომაზე და ან მერმის. საქმის თაობაზე მსურველს შეუძლია მიმა[...] თოს უფ. ი. სულხანოვს გორში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Марта, 1870 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილ[...]